პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 93 (5123)

1974 წ. 12 მაისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ლიდერობს თბილისელი ხუთჯიდელი

9 მაისს ლვოვში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობს საბჭოთა ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ხუთჭიდელი.

პირველ დღეს ჩატარდა შეჯიბრება ფარიკაობაში. 48 ხუთჭიდელიდან მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონმა პ. ლედნიოვმა შეძლო 1000 ქულის მოგროვება. მან 47-დან 35 ბრძოლა მოიგო.

მეორე დღეს ჩატარდა ცხენოსანთა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში. აქ ყველას აჯობა საქართველოს დინამოელმა, 19 წლის ვ. გამილკომ. მან I ადგილი დაიკავა კონკურში და ორი სახეობის შემდეგ შეჯიბრების ლიდერი გახდა.

ბაქოელთა ორი მოგება

გლაზოვი, 10 მაისი. უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი ტური. კარგად ითამაშა ბაქოს სპორტნაწარმის ფაბრიკის გუნდმა, რომელმაც ჯერ ჩერკასის „ოსვიტა“ დაამარცხა (15:12), ხოლო შემდეგ ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სვერდლოვსკი) წარმომადგენლებს აჯობა — 17:14.

ორი გამარჯვება იზეიმა კაუნასის „ჟალგირისმა“, ჯერ სვერდლოვსკელებს სძლია (11:10), შემდეგ კი ლენინგრადის „პეტროგრადეცს“ — 18:9.



თავიდანვე მწვავედ, საინტერესოდ...

ტორუნი (პოლონეთი), 9 მაისი. მშვიდობის ველორბოლის მეორე ეტაპის (პლონსკი — ტორუნი, 152 კმ) შემდეგ შეჯიბრების ლიდერი გახდა ამ სპარეზობის დებიუტანტი, ტარტუელი ა. პიკუუსი — 4:01.57. გუნდურ ჩათვლაში კვლავინდებურად წინაა სსრ კავშირის ნაკრები — 12:07.52.

პიკუუსთან ერთად მეწინავე სამეულში შედიან გდრ-ის წარმომადგენელი კ.-დ. დირსი (4:02.22) და ჩეხოსლოვაკიის ველოსიპედისტი ა. ბარტონიჩეკი (4:02.24), რომელმაც მეორე ეტაპი მოიგო — 3:32.06 (ბონიფიკაციის ჩათვლით). პიკუუსი მონაწილეთა დიდ ჯგუფთან ერთად ფინიშთან მეხუთე იყო (3:32.36).

გუნდურ ჩათვლაში პოლონელები საბჭოთა ნაკრებს სულ 3 წამით ჩამორჩებიან. III ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 12:08.13. მეორე ეტაპის შედეგების მიხედვით საბჭოთა ველოსიპედისტებმა III ადგილი დაიკავეს (10:37.43). მათზე უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ჩეხოსლოვაკიელებმა (10:36.58) და პოლონელებმა (10:37.38).

ორი ეტაპის შემდეგ სხვა საბჭოთა ველოსიპედისტთა შედეგები ასეთია: IV ადგილი — ნ. გორელოვი (4:02.42), X — ა. ჩუსოვი (4:03.16), XVIII — ვ. ლიხაჩოვი (4:03.29), XXI — ი. სკოსირევი (4:03.30), XXVIII — ი. მიხაილოვი (4:03.51).

პოზნანი, 10 მაისი. დღეს მოეწყო მშვიდობის ველორბოლის მესამე ეტაპი: ტორუნი — პოზნანი (150 კმ). ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა ჰ. ჰარტნიკმა (გდრ) — 3:07.04 (უბონიფიკაციოდ). მეორე იყო რ. ლაბუსი (ჩეხოსლოვაკია) — 3:07.08. ასეთივე შედეგი ჰქონდა III ადგილზე გასულ ვ. ლიხაჩოვსაც.

საპრიზო ადგილები გუნდურ ჩათვლაში ასე განაწილდა: გდრ—9:22.09, ჩეხოსლოვაკია — 9:22.23, სსრ კავშირი — 9:22.34.

3 ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა პიკუუსმა (7:09.42), ხოლო გუნდურ ჩათვლაში წინ კვლავ საბჭოთა ნაკრებია (21:30.26).

II ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი (21:30.36), ხოლო III — პოლონელთა კოლექტივი (21:30.39).

პირად ჩათვლაში II ადგილზეა ტ. მიტნიკი (პოლონეთი) — 7:10.01, III — დირსი — 7:10.10. ლიხაჩოვი VI ადგილზეა (7:10.27), გორელოვი — VII (7:10.30).

• • •

სურათზე: პირველ ეტაპზე (იაბლონა — ნოვი დვური) გამარჯვებული სამეული — ტ. მიტნიკი (ცენტრში), ა. პიკუუსი (მარცხნივ) და კ.-დ. დირსი სტადიონზე საპატიო წრის შემოვლისას (წინა ნომერში „ლელოს“ მე-4 გვერდზე გამოქვეყნებული მასალის — „დებიუტანტებმა იმარჯვეს“ — პირველი აბზაცის მე-5 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: **(იაბლონა — ნოვი დვური)** ამ შე- და შემდეგ როგორც ტექსტშია).

ცაუ — საკდესის ტელეფოტო.



პირველი მატჩი — 89:85

მოსკოვი, 11 მაისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა, რომელიც ამ ქვეყნის საუკეთესო სტუდენტი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული, პირველი მატჩი ითამაშა სსრ კავშირის ეროვნულ გუნდთან.

ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გამოსულ მეტოქეთა სასტარტო ხუთეულები ასეთი იყო: აშშ — ბ. ელსტონი, რ. პონდექსტერი, ლ. გრეი, ლ. რობინსონი, ბ. უინტერი; სსრ კავშირი — ა. სალნიკოვი, ი. ედეშკო, ი. პავლოვი, ა. ბელოვი, ს. ბელოვი.

ანგარიში პირველივე წამებზე გახსნა ს. ბელოვმა. შეხვედრის პირველმა ნახევარმა თანაბარ ბრძოლაში განვლო: წინ ხან მასპინძლები იყვნენ, ხანაც — სტუმრები. მე-5 წუთზე ანგარიში იყო 8:8, მე-10 წუთზე — 17:17, მე-15 წუთზე — 30:30.

ბოლო წუთი რომ დაიწყო, ანგარიში კვლავ საყაიმო იყო (41:41), მაგრამ ს. ბელოვისა და ე. კოვალენკოს ზუსტმა ტყორცნებმა ტაიმი საბჭოთა გუნდს მოაგებინეს.

შესვენებაზე საბჭოთა ნაკრების ვეტერანმა მ. პაულაუსკასმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში მასპინძლებმა მაინცდამაინც კარგად ვერ ითამაშეს, მეორე ტაიმში ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიანო. ასეც მოხდა. მე-10 წუთზე მასპინძლები 13 ქულით დაწინაურდნენ, შემდეგ კი ანგარიშში სხვაობა 15 ქულამდე გაიზარდა. მაგრამ აი, დაიწყო ამერიკელთა მძლავრი იერიშები — ბოლო წუთებში მათ შესანიშნავად ითამაშეს და მატჩის დამთავრებამდე 25 წამით ადრე სხვაობა ორ ქულამდე დავიდა.

9 წამით ადრე სალნიკოვმა სადავო ბურთი მოიგო და სწორედ ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი. შეხვედრის ბოლო ბურთი კი მეტოქეთა კალათში ა. ბელოვმა ჩააგდო. 89:85 — ასე გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა.

ხვალ ამერიკელები კვლავ სსრ კავშირის ნაკრებს შეხვდებიან მოსკოვში.

მორიგი ჭირაქები

მოსკოვი, 10 მაისი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მე-13 ტირაჟები.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო“ — 8 (კრიკეტი), 11 (ველოსპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 38 (მშვილდოსნობა), 42 (ძალოსნობა), 49 (შაში).

„სპორტლოტო-2“—8 (კრიკეტი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 14 (ფრენბურთი), 23 (მძლეოსნობა), 24 (სათხილამურო სპორტი), 32 (წყალში ტრამ).

შემდეგი ტირაჟები აქვე გაიმართება 20 მაისს.

● ლენინგრადი, 9 მაისი. აქ გაიმართა სამი ძმადნაფიცი ქალაქის — დრეზდენის, გდანსკისა და ლენინგრადის მოცურავეთა ამხანაგური მატჩი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 14 წლის დრეზდენელმა მოსწავლე გოგონამ ბ. ტრაიბერმა, რომელმაც ჯერ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჯობა ყველას (1.03,5), მერე კი ამავე მანძილზე გულაღმა შეჯიბრებაში—1.09,5.

ფიჭ-ის გადაწყვეტილებას გმობენ

ნიუ იორკი, 8 მაისი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის აპარტეიდის პოლიტიკის სპეციალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბულგარეთის გადაწყვეტილებას, რომ რასისტული რეჟიმის წარმომადგენლებისთვის არ მიეცა ამ ქვეყანაში შესვლის უფლება ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. კომიტეტმა დაადგინა საპროტესტო დეპეშა გაეგზავნა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისთვის (ფიჭ-ი), რომელმაც ბულგარეთის გადაწყვეტილების პასუხად უარი თქვა ჩემპიონატის ამ ქვეყანაში ჩატარებაზე.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბულგარეთი ხელმძღვანელობდა ოლიმპიური პრინციპით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით.

„ფიჭ-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, — განაცხადა, კერძოდ, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წარმომადგენელმა დ. უატარმა, — სერიოზულ შეშფოთებას იწვევს და სახიფათო შედეგების საშიშროებას ქმნის“. უატარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტი პროტესტით არ უნდა შემოიფარგლოს. მან უნდა დასახოს ისეთი ღონისძიებანი, რომ მომავალში მსგავსი აქციები აღარ გამეორდეს.

არავითარი კონტაქტი რასისტებთან!

იაუნდე, 10 მაისი. აფრიკის დამოუკიდებელმა ქვეყნებმა ინგლისთან ყოველგვარი სპორტული კავშირი უნდა გაწყვიტონ, — ასე გადაწყვიტა აფრიკის სპორტის საქმეთა უმაღლესმა საბჭომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ინგლისის რეგბისტთა გუნდის სტუმრობასთან დაკავშირებით. ეს საკდესის კორესპონდენტს აცნობა ზემოხსენებული საბჭოს გენერალურმა მდივანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინტერვიუ

მოსახლეობის გაჯანსაღება მთავარი საგრუნაკვია

ზაფხულის სპორტული სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით რედაქციის მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილების გამგემ ო. ბულაშვილმა ინახულა საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი შ. ჭალაბანიძე, რომელიც მას ესაუბრა რაიონში მასობრივ-ფიზკულტურულ, სპორტულ და გამჯანსაღებელ მუშაობაზე, ბაზების მდგომარეობაზე, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში რაიონის ფიზკულტურელთა შედეგებზე. საუბარში წამოიჭრა ბევრი ხაინტერესო საკითხი, რომლებიც ალბათ რესპუბლიკის სხვა რაიონების პარტიულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებსაც აწუხებთ.

ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს.

● პატივცემულო შოთა, მართალია, ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც თქვენ აქ მუშაობთ, მაგრამ ალბათ მაინც შეგიძლიათ გვითხრათ, როგორ არის დაყენებული რაიონის მოსახლეობაში, მშრომელთა და მოსწავლეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამჯანსაღებელი საქმიანობა.

— ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ბორჯომის რაიონში მასობრივ-ფიზკულტურულ, გამჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობას სათანადო ყურადღება ექცეოდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენი რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს რამდენიმეჯერ რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ჯილდო აქვს მოპოვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის. სამოცდაან წლებში რაიონს შესანიშნავი სტადიონი ჰქონდა მძლეოსნური სექტორებითა და სარბენი ბილიკებით. ამენდა სპორტული დარბაზიც. საკუთარი ღია ბაზები ჰქონდა ქალაქის თითქმის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებელს, აგრეთვე, საწარმოთა უმეტესობას. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა შედგა გადაჭარბებით სრულდებოდა. როგორც ჩანს, რაიონის ხელმძღვანელობა სპორტსაზოგადოებებს, ფიზკულტურის კომიტეტს ეხმარებოდა. მაგრამ შემდეგ ეს კარგი ტრადიცია თანდათან დავიწყებას მიეცა.

● ამჟამად რა მდგომარეობაა?

— ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი, „განთიადის", „სპარტაკის", „კოლმეურნის" რაიონული საბჭოების, „ლოკომოტივისა" და „შრომითი რეზერვების" კოლექტივები, განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლა გულხელდაკრეფილი არც შემდეგ წლებში ყოფილან. შარშან, მაგალითად, რაიონის 66 ფიზკულტურული კოლექტივი 9 ათასზე მეტ კაცს ითვლიდა, სექციებში თითქმის 6 ათასი კაცი მეცადინეობდა, მასობრივ-გამჯანსაღებელ ღონისძიებებში კი გაცილებით მეტი მუშა და მოსამსახურე იყო ჩაბმული. მშდ კომპლექსის ყველა საფეხურის ნორმატივი შარშან 1818 მუშასა და მოსამსახურეს, კოლმეურნესა და მოსწავლეს ჩაუბარებია. მაგალ 164-ს ოქროს სამკერდე ნიშანი მოუპოვებია. პირველი თანრიგის ნორმატივი ათის მაგიერ თოთხმეტ სპორტსმენს შეუსრულებია, მაგრამ მუშაობაში ნაკლიც ჰქონიათ: სპორტის ოსტატებისა და მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა მომზადების გეგმა შეუსრულებელი დარჩენიათ.

● რამ გამოიწვია ეს ჩამორჩენა?

— ქალაქად ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მთავარი ცენტრი სტადიონია. ბორჯომში ეს ბაზა თანდათან მწყობრიდან გამოსულა. ამჟამად ტრიბუნები უვარგისია, სარბენი ბილიკები და სიმაღლეზე სასტომი სექტორები კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ. ექვსი თუ შვიდი წლის წინათ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მშენებლობა დაუწყიათ, მაგრამ საქმე სანახევროდაც არ გაკეთებულა. ჩოგბურთის ორივე კორტი კეთილმოსაწყობია, ღობეები და სავარჯიშო კედელი დაგრეულა, სპორტსკოლის დარბაზი არ თბება, საშხაპე არ მუშაობს, სტადიონს სანიტარული კვანძიც კი არა აქვს. სპორტულ ბირთვზე რომ ასეთი მდგომარეობაა, წარმოიდგინეთ, სხვაგან რა იქნება. ქალაქის მეორე სკოლაში რეკონსტრუქციის გამო ღია ბაზები დაინგრა. ბაზების მხრივ არც ქალაქის პირველი, რუსული და რკინიგზის სკოლებია უზრუნველყოფილი. უარესი მდგომარეობაა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში.

ბორჯომის შუშის ქარხანა აგებს კაპიტალურ ღია კომპლექსურ ბაზას, სადაც იქნება კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, ბასახდელები, მაგრამ თუ ამ საწარმოს ხელმძღვანელობამ მშენებლობის დაჩქარებისთვის არ იზრუნა, ბაზა საექსპლოატაციოდ ზაფხულისთვის ვერ გადაიცემა. მინერალური წყლების ჩამომსხმელი საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი" 1600-ზე მეტ თანამშრომელს ითვლის, სპორტული ბაზები კი ამ გაერთიანების არც ერთ ქარხანას არ გააჩნია. № 1 ქარხნის ტერიტორიაზე ერთ დროს შესანიშნავი კომბინირებული ღია მოედნები ყოფილა, მაგრამ შემდეგ ისინი ტარის საწყობად უქცევიათ, მერე კი სულ დაუნგრევიათ და ახლა აქ ქარხნის რეკონსტრუქციისთვის საჭირო სამშენებლო მასალა აწყვია. ამ გაერთიანებაში უკვე რამდენიმე თვეა ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი ცდება, თანამშრომლებში არავითარი მასობრივი გამჯანსაღებელი ღონისძიებები არ ეწყობა.

სპორტული ბაზებით უზრუნველყოფილი არც მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის, ახალდაბის საავეჯო ფაბრიკისა და სხვა ორგანიზაციების ფიზკულტურელები არიან. კოლმეურნეობებში მხოლოდ მარტივი ტიპის მოედნები აქვთ. მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობა მივიწყებულია. კიროვის ქუჩაზეც კი, სადაც ბოლო წლებში რამდენიმე მრავალსართულიანი სახლი აიგო, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მოწყობისთვის არავის უზრუნია. ყოველივე ამან გამოიწვია ჩამორჩენა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში.

● რას გვეტყვით რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის დონეზე?

— მართალია, გაზეთ „ბორჯომის" რედაქცია ამ საკითხს ბოლო დროს სათანადო ყურადღებას უთმობს, მაგრამ საერთოდ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის დონე დაბალია. რაიონული ცენტრის სტადიონზეც კი ვერ ნახავთ ერთ ლოზუნგს ან მოწოდებას, რომელიც ახალგაზრდობას ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისკენ, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისკენ უხმობდეს. სხვა ბაზებზე მე მინახავს მოწოდებები, ლოზუნგები, რეკორდების, თანრიგებისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ცხრილები, ბორჯომის ფიზკულტურის კომიტეტში კი რაიონული რეკორდებიც არა აქვთ აღრიცხული. ცხადია, სტადიონს, სადაც რაიონის მთელი ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანიზაციებია თავმოყრილი, ამ მხრივ არც კოლექტივების თითო-ოროლა ბაზა „ჩამორჩება". გამონაკლისია მხოლოდ ბაკურიანის ბაზები.

● თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ ჩვენს ფიზკულტურასა და სპორტში ბოლო წლებში ხშირი იყო სიყალბის შემთხვევები. ამ მხრივ ალბათ არც ბორჯომის რაიონი იყო გამონაკლისი.

— მართალია, ამგვარი შეცდომებისგან დაზღვეული არც ბორჯომის რაიონის ფიზკულტურის კოლექტივი ყოფილა. მაგალითად, თუ საუბებს დავუჯერებთ, 1974 წლის 1 იანვრისთვის რაიონში იყო 10 სპორტდარბაზი, 28 კალათბურთის, 31 ფრენბურთის, 2 ხელბურთის, 3 ჩოგბურთის მოედანი. სინამდვილეში კი, მაგალითად, კალათბურთელთა განკარგულებაშია მხოლოდ 12 მოედანი, ფრენბურთისა კი რაიონში 14 მოედანი თუ მოიძებნება.

● რამ გამოიწვია ციფრების ასე გაბერვა?

— ხდებოდა ისე, რომ ამა თუ იმ დაბის ერთადერთი მარტივი ტიპის მოედანი წლის ბოლოს სკოლასაც, კოლმეურნეობასაც და რომელიმე საწარმოსაც რაიონულ კომიტეტში წარდგენილ ანგარიშში ცალ-ცალკე თავიანთ ბაზად შეჰქონდათ. მე ვფიქრობ, ამგვარი შეცდომები ნიშნსნებისა და მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა მომზადების საბუთებშიც იყო დაშვებული. აბა, როგორ მოამზადებდნენ შარშან მშდ კომპლექსის 2 ათასამდე ნიშნსანს, როცა კურორტების სამმართველოს 25-მეტრიანი საცურაო აუზი მხოლოდ ზაფხულში მუშაობს თვენახევარს ან ორ თვეს, დოსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კუ“ დიდ გზაზე

ამ სამი წლის წინათ ჩვენმა გაზეთმა ერთი პატარა განცხადება დაბეჭდა. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე იხსნება რბენის მოყვარულთა ჯგუფი და მსურველებს შეგიძლიათ ჩაეწეროთო, ნათქვამი იყო განცხადებაში. მაგრამ ამ მოწოდებას სულ ოთხი კაცი გამოეხმაუოა. ასეთმა გულგრილობამ ოდნავაც ვერ შეაკრთო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯუმბერ ხუბუა, მძლეოსანი, უმაღლესი განათლების მქონე ფიზკულტურის სპეციალისტი. მან მოხდომებით დაიწყო მუშაობა „შესანიშნავ ოთხეულთან“.

მალე ენთუზიასტთა რაზმმა გაზრდა იწყო. ჯუმბერი ყველა მსურველს ღებულობდა, მიუხედავად ასაკისა და ფიზიკური მომზადებისა. ერთადერთი აუცილებელი პირობა იყო მკაცრი სამედიცინო შემოწმება და კონტროლი. თავიდან ჯგუფის ხელმძღვანელსაც გაუჭირდა და მის „შეგირდებსაც“. გასარკვევი იყო, საიდან უნდა დაიწყოთ მეცადინეობა, რა დატვირთვით, როგორ გაერთულებინათ პროგრამა თანდათან. მაგრამ სპეციალური ლიტერატურის კარგად შესწავლამ, ექიმებისა და ფიზიოლოგების კონსულტაციებმა, ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ჯგუფის ხელმძღვანელს ბევრი რამ ასწავლა ადამიანის ორგანიზმზე რბენის გამაჯანსაღებელი გავლენის საკითხში. ჯუმბერმა მჭიდრო კონტაქტი დამყარა ამერკავკასიის რკინიგზის საგზაო საექიმო-ფიზკულტურულ დისპანსერთან. დისპანსერის მთავარმა ექიმმა მერაბ თავდიშვილმა და მისმა თანამშრომლებმა ჯგუფის წევრებს უდიდესი დახმარება გაუწიეს — დაწესეს მუდმივი კონტროლი მათს ჯანმრთელობაზე, სისტემატურად უწევდნენ კონსულტაციებს და ა. შ.

ჯგუფის მეცადინეობა ტარდებოდა კვირაში სამჯერ საშუაო დღის შემდეგ. ადგილებიც შესანიშნავი შეარჩიეს: „ლოკომოტივის“ სტადიონი, გამარჯვების პარკის ხეივნები და კუს ტბის გზა. ჯუმბერი ცდილობდა რაც შეიძლება საინტერესოდ ჩაეტარებინა საწვრთნელი მეცადინეობები. უშუალოდ რბენას წინ უსწრებდა აუცილებელი მოთელვა, ვარჯიშები სახსრების მოძრაობის განვითარებისთვის, მუცლის პრესის გამაგრებისთვის, სუნთქვის დამუშავებისთვის.

უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ჯგუფის წევრებს ველარ იცნობდით — წონაში დაიკლეს, თითქოს გუნებაც შეეცვალოთ, მადაც მოემატათ და შრომის უნარიც, აღარც უძილობას უჩიოდნენ. მოვუსმინოთ იმ პირველი „შესახიხსავი ოთხეულის“ ერთ-ერთ წევრს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საპროექტო კონტორის ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსს, 49 წლის გ. ნიკოლეიშვილს: „მე ისეთი სამუშაო მაქვს, უმეტეს დროს ჯდომა მიწევს. ამის გამო თანდათან გავსუქდი, სულ უფრო ნაკლებს ვმოძრაობდი, გულის ტკივილი დამეწყო. მერე მორბეხალთა ჯგუფში ჩავეწერე. უკვე სამ წელიწადზე მეტია რეგულარულად ვვარჯიშობ კვირაში სამ-ოთხჯერ, სამუშაო დღის შემდეგ. სამუშაო დღეებში რბენის დისტანციაა 6-დან 15 კილომეტრამდე, კვირა დღეს — 20-30 კილომეტრი. თითქოს ხელახლა დავიბადე. ექიმები გაოცებული არიან. საუკეთესო წნევა და მაჯისცემა მაქვს, წონაც ნორმას შეესაბამება. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და, საერთოდაც, სიცოცხლე ბევრად უფრო საინტერესო მეჩვენება“.

ამასვე გეტყვიან ჯგუფის დანარჩენი წევრებიც, რომლებიც აქტიურად ვარჯიშობენ რბენაში. ესენი არიან ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ნიჟარაძე, კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკები ნ. ბელქანია და ო. თავდიშვილი, სამხატვრო აკადემიის მასწავლებელი გ. ცხოვრებაძე, გამომთვლელი ცენტრის უფროსი ლაბორანტი გ. რაქვიაშვილი, ტრესტ „საქნავთის“ უფროსი ინჟინერი გ. მჭედლიშვილი, გერმანული ენის მასწავლებელი მზია გოქაძე და შვერი სხვა.

ჯგუფი რომ გაიზარდა, აუცილებელი გახდა ამ გატაცებისთვის კონკრეტული ორგანიზაციული ფორმა მიეცათ. გადაწყდა შეექმნათ რბენის მოყვარულთა კლუბი, რომელსაც ექნებოდა თავისი წესდება, ემბლემა, სპორტული ფორმა. სახელი? „კუ დავარქვათ“, — ხუმრობით თქვა ვიღაცამ. მაგრამ ამ ხუმრობაში თავისებური სიმბოლო იყო ჩაქსოვილი. კუ ხომ ძალიან ბევრს მოძრაობს, თუმცა დინჯად, მაგრამ შეუპოვრად. ძალიან ამტანია და დიდხანს ცოცხლობს. რბენის მოყვარულთა მთავარი მიზანიც ხომ ეს არის — ჯანმრთელობა და დღეგრძელობა. ერთი სიტყვით, სახელი ყველას მოეწონა. კუ კლუბის ემბლემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა. კლუბის წევრთა ფორმაა ყვითელი მაისურები და მწვანე ტრუსები.

ენთუზიასტებს მხარი დაუჭირეს სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ საგზაო სამჭოში. წლეულს, 20 იანვარს, საგზაო სამჭოს პრეზიდიუმმა ოფიციალურად დაამტკიცა რბენის მოყვარულთა კლუბ „კუს“ შექმნა.

კლუბი მიზნად ისახავს რბენის ფართო პროპაგანდას. ამ ამოცანის შესასრულებლად მას განზრახული აქვს ერთ ორგანიზაციაში მოუყაროს თავი რბენის ყველა მოყვარულს, სათავეში ჩაუდგეს კლუბის წევრთა მზადებას მშდ კოძალექსის ნორმატივების ჩასაბარებლად, მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს რბენის მოყვარულებს მთელ რესპუბლიკაში, რათა ქალაქებსა და რაიონებში საზოგადებრივ საწყისებზე შეიქმნას ჯგუფები, მოეწყოს ესტაფეტები, სამატჩო შეხვედრები სხვა კლუბებთან და ა. შ.

როგორც ვხედავთ, გარდა გამაჯანსაღებელი მუშაობისა, კლუბი წმინდა სპორტულ მიზნებსაც ისახავს. კლუბის წევრებს ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა გარბენში, მათ შორის მარათონულშიც. მაგალითად, 1972 წლის 5 დეკემბერს თორმეტმა რბენის მოყვარულმა კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად მოაწყო გარბენი მარშრუტით რუსთავი — თბილისი (28 კმ). 1973 წლის 19 მაისს ამიერკავკასიის რკინიგზის 100 წლისთავის აღსანიშნავად 14 კაცი მონაწილეობდა 34-კილომეტრიან გარბენში. კლუბის წევრებისთვის დიდი გამოცდა იყო რბენა მარათონულ დისტანციაზე — 42 კილომეტრზე და 195 მეტრზე. 3 დეკემბერს სიცივესა და თოვლ-ჭყაპში თოთხმეტმა კაცმა აიღო სტარტი თბილისის ზღვის ირგვლივ მოწყობილ ტრასაზე. მათგან ათმა წარმატებით გაიარა დისტანცია.

წლეულს „კუს“ ასეთი გეგმები აქვს: 16 მაისს კლუბის წევრები მოსკოვში 25 კმ-ზე რბენაში იასპარეზებენ „ლოკომოტივის“ ჩემპიონატში. 26 მაისს ისინი რუსთავის მასლობლად გამართულ მარათონულ რბენაში მიიღებენ მონაწილეობას. საინტერესო უნდა იყოს ესტაფეტა 24×10 კმ-ზე მარშრუტით ქუთაისი — თბილისი. ეს შეჯიბრება ოქტომბერში ჩატარდება.

ახლა რბენის მოყვარულთა კლუბი „კუ“ 60-ზე მეტ წევრს აერთიანებს. კიდევ მეტია ამ კლუბში მოხვედრის მსურველი. რასაკვირველია, ერთ კაცს უჭირს ამდენი ხალხის გაძღოლა. სასურველია რბენის დიდ ენთუზიასტს ჯ. ხუბუას დავახმაროთ ინსტრუქტორები, თუნდაც ორი კაცი ბაიც. გარდა ამისა, 500 მანეთი, რაც 1974 წელს გარბენებისა და სამატჩო შეხვედრების მოწყობისთვის გამოუყვეს კლუბს, ძალიან ცოტაა.

რბენის მოყვარულთა კლუბი „კუ“ დიდ და კეთილშობილურ მიზნებს ისახავს. ვუსურვოთ მას წარმატება შემდგომ შუამბაში.

ბ. ქვათაძე.

* * *





სურათებზე: ჯ. ხუბუა (მარცხნივ) დავალებას აძლევს კლუბის წევრებს; რბენის მოყვარულები საწვრთნელ მეცადინეობაზე; კლუბის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი გ. ნიკოლეიშვილი.

ავტორის ფოტოები.

ექვსივე საპრიზო ადგილი სტუმრებს

ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში ოთხ დღეს გაგრძელდა რესპუბლიკის პირველობა I ლიგის ხელბურთელთა გუნდებს შორის. ასპარეზობდნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, არმიის სპორტკლუბის, რუსთავის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის ვაჟთა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის მწვრთნელთა სკოლის, განათლების განყოფილების, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის ქალთა გუნდები. შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართა.

ვაჟთა შორის I ადგილისთვის გადამწყვეტ მატჩში ერომანეთს შეხვდნენ უნივერსიტეტისა (მწვრთნელი ჯ. აფშილავა) და სამედიცინო ინსტიტუტის (მწვრთნელი ზ. ფხალაძე) გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა — 23:20. III ადგილზე გავიდა არმიის სპორტკლუბის გუნდი (მწვრთნელი ჯ. აბაიშვილი).

ქალთა გუნდების შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი) ხელბურთელებმა. II ადგილი ხვდა თბილისის განათლების განყოფილების გუნდს (მწვრთნელი ვ. არაქელოვი), ხოლო III — მწვრთნელთა სკოლის კოლექტივს (მწვრთნელი ს. მანაგაძე).

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ბოლო ადგილზე დარჩნენ სოხუმელები, რომლებიც გაისად მეორე ჯგუფში იასპარეზებენ.

ფოთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა (თავმჯდომარე ო. ხომერიკი) დააწესა სპეციალური პრიზები. საუკეთესო მეკარის პრიზი ქალებში მიიღო ო. ჩესნოვსკაიამ (რუსთავი), ვაჟებში — ი. გოგიაშვილმა (სამედიცინო ინსტიტუტი). საუკეთესო ბომბარდირის პრიზი შესაბამისად მოიპოვეს ნ. არაბოვამ (მწვრთნელთა სკოლა) და ბ. ბერიძემ (რუსთავი). საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი წილად ხვდათ დ. გეფერიძეს (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და რ. ჭანტურიას (არმიის სპორტკლუბი).

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, აგრეთვე, ფოთელმა გ. მელაძემ, რუსთაველმა ტ. სამოდუროვამ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ს. ხურცილავამ. საუკეთესო მსაჯად აღიარებულია რ. ლაბარტყავა (ფოთი).

ბ. ბასილაია.
(ჩვენი კორ.).

ფოთი.

საქართველოს

→ თბილისი

უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა VI უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური შეჯიბრება კრივში. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ე. ტარტარაშვილმა, ვ. გერცოვმა, თ. ცხვედიანმა, თ. არაბულმა, ჯ. ხორნეულმა, გ. შენგელიამ, მ. მუმლაძემ, ე. ხანგოშვილმა, ტ. ალუდაურმა, ბ. არჩვაძემ. გუნდური პირველობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა მოიგეს.

რ. ლომინაძე,
უნივერსიტეტის ალკა კომიტეტის სპორტული სექტორის ხელმძღვანელი.

→ ზუგდიდი

ენგურქალდკომბინატის

რაიონებიდან სპორტიორებით

მოჰადრაკეთა პირველობაში 16 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონი გახდა მექანიკური საამქროს ხეინკალი ლ. კვარაცხელია.

ბ. ალშიბაია.

→ ახმეტა

აქ გაიმართა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა სოფელ მატნის გუნდი. ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ბ. ხოხობაშვილი, ქალთა შორის — ნ. დეკანოზიშვილი.

შ. ნათელაური.

რაიონებიდან სპორტიორებით

→ კასპი

ჭადრაკში „განთიადის“ რაიონის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მეტეხის სამენ მასალათა კომბინატის პროფკავშირის თავმჯდომარემ ა. სვანიძემ. II ადგილი ხვდა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ ფიზკულტურის მეთოდისტს გ. კიკანეიშვილს, III — ცემენტის ქარხნის მხატვარს ა. ქეساურს.

ლ. ელისაბედაშვილი.

უბრძოლველად

ესპადრონისტთა და რაპირისტ ქალთა გუნდური შეხვედრები ასე დამთავრდა: ესპადრონი. 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. რუსთავი; რაპირა. 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. რუსთავი.

უკვე მერამდენე წელია, რაც მოფარიკავეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გუნდური პირველობა თითქმის ფორმალური ხასიათისაა. ჯერ ერთი, შეჯიბრებამდეც ცნობილია, როგორ განაწილდება საპრიზო ადგილები, მეორეც, ამას შეეგუენ ყველა ქალაქისა თუ რაიონის მწვრთნელები და ამიტომ საქმის გამოსწორებას კარგი პირი არ უჩანს. იქნებ ჰგონიათ, რომ გუნდური ასპარეზობა ნაკლებ საპასუხისმგებლოა?

თუ ვინმე ასე ფიქრობს, ძალიან ცდება. ფარიკაობაში გუნდურ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა მასშტაბის ტურნირებში გუნდურ ბრძოლაში გამარჯვებულ სპორტსმენებს ისევე აჯილდოებენ ყველანაირი ხარისხის

საქართველოს მოფარიკავეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი

მედლებით, როგორც პირად შეჯიბრებაში. დიახ, მსოფლიო ჩემპიონი გუნდის ყველა წევრი ოქროს მედალს იღებს და მსოფლიო ჩემპიონის სახელსაც ატარებს. უფრო მეტიც: ბევრი მოფარიკავე საუკეთესო გუნდურ მებრძოლადაა ცნობილი, მაგრამ პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულზე ნაკლები პატივით როდია გარემოსილი.

ახლა კი ორიოდე სიტყვა მიმდინარე ჩემპიონატის გუნდურ ბრძოლებზე. შეჯიბრებამდე არავის ეეჭვებოდა, რომ გამარჯვება თბილისელთა გუნდს დარჩებოდა. ასეც მოხდა და, ვფიქრობთ, სრულიად კანონზომიერადაც. განა შეიძლება თბილისის გუნდს წინააღმდეგობა გაუწიონ იმ კოლექტივებმა, რომლებსაც სავარჯიშო პირობები უარესი აქვთ და არც ისეთი ძლიერი მწვრთნელები ჰყავთ, როგორც დედაქალაქის სპორტსმენებს? ჩვენ ვფიქრობდით, რომ დანარჩენი სპარეზო ადგილებისთვის მაინც გაჩაღდებოდა მწვავე ბრძოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ქუთაისელებმა თითქმის უბრძოლველად მოიპოვეს II ადგილი როგორც ესპადრონისტთა შორის, ასევე ქალებშიც. რუსთაველებმაც იოლად დასაკუთრეს III ადგილები.

ერთი სიტყვით, ვინც გუნდურ ჩემპიონატს დაესწრო (მაყურებელი კი, როგორც მუდამ, ცოტა იყო), ყველა უკმაყოფილო დარჩა. არავითარი ბრძოლა, არავითარი აზარტი, — ასე ჩაიარა რესპუბლიკის ამ ყველაზე დიდი მასშტაბის შეჯიბრებამ.

ისმის კითხვა: მაშ რა აზრი აქვს გუნდური შეჯიბრებების გამართვას? თუ ასე გაგრძელდა, რა თქმა უნდა, არავითარი.

ბ. ლორთქიფანიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

FIDE

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი

სპასკი — კარპოვი 1:4

(6 ყაიმი)

მეათე პარტია

სპასკი — კარპოვი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ∎f3 ∎c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ∎f6 5. 0—0 ♗e7 6. ∎e1 b5 7. ♗b3 0—0 8. h3 d6 9. c3 ∎b3 10. d4 ∎bd7 11. ∎bd2 ♗b7 12. ♗c2 ∎e8 13. ∎f1 ♗f8 14. ∎g3 g6 15. a4 c5 16. d5 c4 17. ♗g5 ∎b8 18. ♕d2 ♗c8 19. ab ab 20. ∎a2 ♗g7 21. ∎ea1 ∎c5 22. ♕e3 ∎e7 23. ∎d2 ∎c7 24. b3 cb 25. ∎:b3 ♗d7 26. ∎:c5 ∎:c5 27. ♕d2 ♕c8 28. ∎e2 ∎e8 29. ♗d3 f5 30. ♗e3 ∎c7 31. f3 f4 32. ♗a7 ∎bb7 33. ♕e1 ♕d8 34. ♕f2 ∎c8 35. ∎a6 ♗f6 36. ♗b6 ♕e7 37. ∎a7 ∎cb8 38. ∎:b7 ∎:b7 39. ∎∎f1 ♗h4 40. ♕g1 ∎∎g7 41. ∎a7 ∎:a7 42. ♗:a7 ♕d8 43. ♕b6 ♕c7 44. ♕:c7 ∎:c7 45. ♗b8 ∎e8 46. ∎c1 (ჩაწერილი სვლა) 46. ... ♗d8 47. ♗a7 ♗a5 48. c4 bc 49. ♗:c4 ∎∎f7 50. ∎b3 ♗c7 51. ♗f2 g5 52. ♗e1 h5 53. ∎c1 ∎f6 54. ∎d3 ∎∎g6 55. ♗a6 g4 56. hg hg 57. ∎b2 ∎h7 58. ∎c4 ∎g5 59. ∎∎f2 ∎∎f6 60. ♗b4 ∎f7. ყაიმი.

კარპოვი — ფინალში

ლენინგრადი, 10 მაისი. სპასკი — კარპოვის მატჩში XI პარტია ბოლო აღმოჩნდა. კარპოვი თეთრებით თამაშობდა. სპასკიმ ლაზიერის გამბიტში თავისი საყვარელი სისტემა — მაკოგონოვ — ბონდარევსკის ვარიანტი გამოიყენა, მაგრამ, როცა მან უარი თქვა ჩვეულებრივი სქემის გათამაშებაზე, კარპოვმა პატარა პოზიციური უპირატესობა მიიღო. დებიუტის შემდეგ კარპოვმა ცენტრში პაიკის წინსვლა განახორციელა და მისი პოზიციის უპირატესობა უფრო აშკარა შეიქნა.

კარპოვმა შეავიწროვა მეტოქის ლაზიერი და კუ შესწირა. სპასკიმ ფიგურა აიყვანა და მყისვე ძლიერი იერიშის ქვეშ მოჰყვა. მალე კარპოვმა უკან დაიბრუნა შეწირული ფიგურა და სამი ზედმეტი პაიკიც მიიღო. 35-ე სვლაზე სპასკიმ საათი გააჩერა და მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

„პარტიის ფინალი კარპოვმა დამაჯერებელი თანმიმდევრობით ითამაშა და მისი გამარჯვება მატჩში სავსებით დამსახურებულია“, — თქვა პრეს-ცენტრში მყოფმა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:1 კარპოვის სასარგებლოდ, ფინალში იგი შეხვდება ოდესის ორთაბრძოლაში გამარჯვებულ კორჩნოის. ეს შეხვედრა 1974 წლის სექტემბერში მოეწყობა. მატჩის ადგილი მოგვიანებით დადგინდება.

გთავაზობთ მატჩის XI პარტიას.

კარპოვი — სპასკი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 ∎f6 2. c4 e6 3. ∎f3 d5 4. ∎c3 ♗e7 5. ♗g5 h6 6. ♗h4 0—0 7. e3 b6 8. ♗e2 ♗b7 9. ♗:f6 ♗:f6 10. cd ed 11. 0—0 ♕d6 12. ♗c1 a6 13. a3 ∎d7 14. b4 b5 15. ∎e1 c6 16. ∎d3 ∎b6 17. a4 ♗d8 18. ∎c5 ♗c8 19. a5 ♗c7 20. g3 ∎c4 21. e4 ♗h3 22. ∎e1 de 23. ∎:e4 ♕g6 24. ♗h5 ♕h7 25. ♕f3 f5 26. ∎c3 g6 27. ♕:c6 gh 28. ∎d5 f4 29. ∎e7 ♕f5 30. ∎:c7 ∎ae8 31. ♕:h6 ∎f7 32. ∎:f7 ∎∎:f7 33. ♕:f4 ∎e2 34. ♕c7+ ∎∎f8 35. ∎f4. შავები დანებდნენ.

FIDE

ალექსანდრია თუ შული?

რიგის საჭადრაკო კლუბში გუშინწინ საზეიმოდ გაიხსნა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი ნ. ალექსანდრიასა (თბილისი) და მ. შულს (ლვოვი) შორის. შეჯიბრების გახსნას დაესწრო სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი (მოსკოვი).

მატჩის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თ. სტრანდსტრემმა (მოსკოვი) დამსწრეთ შეჯიბრების პირობები გააცნო.

ის, ვინც პირველი მოაგროვებს 5,5 ქულას ათ შეხვედრაში, მატჩში გამარჯვებულად გამოცხადდება. თუ ორთაბრძოლა ყაიმით (5:5) დამთავრდა, მაშინ მეტოქენი თამაშს განაგრძობენ პირველ მოგებამდე. თუ გამარჯვებული 16 პარტიის შემდეგაც არ გამოვლინდა, მაშინ საკითხი კენჭისყრით გადაწყდება.

კვირაში სამი პარტია გათამაშდება. პარტიები შედგება შაბათობით, ორშაბათობით და ოთხშაბათობით. მეორე დღეს (კვირას, სამშაბათს, ხუთშაბათს) დამთავრდება გადადებული პარტიები. პარასკევი დასვენების დღეა.

თითოეულ მეტოქეს პირველი 40 სვლისთვის 2 საათი და 30 წუთი ეძლევა, ყოველი მომდევნო 16 სვლისთვის — თითო საათი დროის დაგროვებით.

მატჩი ჩატარდება რიგის საჭადრაკო კლუბის დიდ დარბაზში. თამაშის დასაწყისი — 16 საათი და 30 წუთი მოსკოვის დროით.

მთავარმა მსაჯმა დამსწრეთ წარუდგინა მეტოქეთა სეკუნდანტები: ალექსანდრიასი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, დიდოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი) და შულისა — სსრ კავშირის დასახელებული მწვრთნელი, ... (ლვოვი).

სტრანდსტრემმა თქვა, რომ მეორე ნახევარფინალური მატჩი ვ. კოზლოვსკიისა (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შორის 25 მაისს დაიწყება კისლოვოდსკში.

დასასრულს მეტოქეებმა კენჭი ყარეს. პირველ პარტიაში თეთრი ფიგურები ალექსანდრიას შეხვდა.

ინტერვიუ სპეციალური

ძნელი ფინიში

გუშინწინ დორტმუნდში (გფრ) გაიმართა ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VII ტური. „ლელოს“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა დორტმუნდს. მას ესაუბრა მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი.

— VII ტურში მე თამაში მიწევდა არა დიდოსტატ დამიანოვიჩთან, როგორც წინა საუბრის დროს გითხარით, არამედ დასავლეთგერმანელ ბუშთან. დილით, ვიდრე ტური დაიწყებოდა, შევხვდი ბახმანს VI ტურიდან გადადებულ პარტიაში. ზუსტი თამაშით უპირატესობა მოგებამდე მივიყვანე, — თქვა ნონამ.

საღამოს კვლავ ჩავები თამაშში. ბუშმა ფრანგული დაცვა გაითამაშა და ცენტრში გამხოლოებული პაიკი მიიღო. ფიგურების გადაჯგუფებით ალყა შემოვარტყი ამ პაიკს და მოვიგე იგი. ფიგურას ვიგებდი, როცა ბუშმა გამარჯვება მომილოცა.

დამიანოვიჩმა დაამარცხა ბახმანი, საბომ (უნგრეთი) — ბორაკი (გფრ). ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ჩოკილტია (რუმინეთი) — ზერვატი (გფრ) და პაოლი (იტალია) — ჰიუტემანი (გფრ).

შვიდი ტურის შემდეგ საბოს 6 ქულა აქვს, მე — 5,5, ჩოკილტიასა და დამიანოვიჩს — 5-5.

სათამაშო დარჩა ოთხი ტური. ფინიშზე სახიფათო მეტოქეები მყავს: დიდოსტატები საბო, დამიანოვიჩი და საერთაშორისო ოსტატი ჩოკილტია.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტი ნ. გურიელი თამაშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

უსხოეთის ფეხბურთის ჯვეჯი

ლიგის იდეალური ნაკრები

ამას წინათ ინგლისელ ჟურნალისტთა კონკურსის შედეგად შედგა იდეალური ნაკრები იმ მოთამაშეთაგან, რომლებიც პირველ ლიგაში გამოდიან.

ნაკრების შემადგენლობა: ჯენნგსი („ტოტენჰემ ჰოტსპური“), შეიდლი („ლიდს იუნაიტედი“), მაკფარლანდი („დერბი ქაუნთი“), ჰანტერი („ლიდს იუნაიტედი“), ტოდი („დერბი ქაუნთი“), ბრემნერი („ლიდს იუნაიტედი“), კერი („შეფილდ იუნაიტედი“), ჩენონი („საუთჰემპტონი“), ჯაილზი („ლიდს იუნაიტედი“), მაკდონალდი („ნიუკასლ იუნაიტედი“), კლარკი („ლიდს იუნაიტედი“).

კრიტიკის დღე „აიაქსში“

ამსტერდამის გუნდ „აიაქსში“ საინტერესო სიახლე დაინერგა: დროგამოშვებით ცხადდება კრიტიკის დღე. იმ დღეს მოთამაშეები ლაპარაკობენ ერთმანეთის ნაკლოვანებებზე, არჩევენ საგაზეთო მიმოხილვებს, მწვრთნელის გამოსვლებს და ა. შ.

კრიტიკის დღე მტკიცედ დამკვიდრდა „აიაქსის“ ცხოვრებაში.

იტალიელი მწვრთნელის აზრით

ამას წინათ ჰაიტიში სტუმრად იყო ურუგვაის ნაკრები. მის ორ მატჩს აღგილობრივ ნაკრებთან დაესწრო იტალიის „სკუადრა აძურას“ მწვრთნელ ფ. ვალკარეჯის მიერ სპეციალურად მიგზავნილი ექსპერტი ა. ვიჩინი.

იტალიაში დაბრუნების შემდეგ ვიჩინიმ ვალკარეჯის შემდეგი აცნობა: უდავოა, ჰაიტის გუნდი დღემდე ჯეროვნად არ იყო შეფასებული. ტექნიკური თვალსაზრისით ჰაიტელები თითქმის არ ჩამოუვარდებიან ურუგვაელებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ოპერეტის სპორტულ ბაზაზე

ველოსპორტი. ცენტრალური ტრეკი (უნივერსიტეტის ქ. № 6). **12-14 მაისი. საკავშირო შეჯიბრება.** მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტულის, ხარკოვის, ერევნისა და თბილისის სპორტსმენები. დასაწყისი 11 და 15 ს.

ფარიკაობა. საფარიკაო დარბაზი (ჭავჭავაძის პრ. № 49). **12-13 მაისი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი.** დასაწყისი 10 ს.

წინააღმდეგობა ძლიერდება

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. XI ტური. ე. გუფელდი — ე. მიქაელიანი 1:0, კ. ჩიგოგიძე — ვ. კალატოზიშვილი 0,5:0,5, ზ. მიქაძე — ზ. ბურჭულაძე 0:1, ა. ბოკუჩავა — გ. ზაიჩიკი 0:1, თ. ლომაია — ზ. აზმაიფარაშვილი 0,5:0,5, მ. ჭიპაშვილი (ყველა — თბილისი) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0,5:0,5, გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) 0,5:0,5. ორი პარტია გადაიდო.

11 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ე. უბილავა (თბილისი) — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია, გუფელდი — 7,5 (1), რ. ჯინჯიხაშვილი — 6,5 (2), აზმაიფარაშვილი, მიქაძე — 6-6.

ბერაძემ (წყალტუბო) უბილავას დიდი ბრძოლა გაუმართა. ბოლოს პარტია ეტლების თანაბარ ენდშპილში გადაიდო. დაუმთავრებელი დარჩა, აგრეთვე, ა. ბუსლაევ — ჯინჯიხაშვილის შეხვედრა. შეწყვეტილი პოზიცია უაღრესად მწვავეა.

გუფელდი ენერგიულად უტევდა მიქაელიანის პოზიციას. მერე, როცა მეფე დაიმარტოხელა გუფელდმა, საშამათო ქსელი გაბა. მე-40 სვლაზე მიქაელიანი დანებდა.

* * *

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. XI ტური. მ. წერეთელი — ნ. იოსელიანი 1:0, მ. მამისთვალოვა — ქ. გაჩეჩილაძე 0:1, ც. კობაიძე—ნ. გურიელი 0,5:0,5, თ. ხუგაშვილი — ქ. გეგიძე 0:1, ა. ჩაიკოვსკაია — ე. ბაშინურიძე (ყველა — თბილისი) 0:1, ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) — ლ. ბელოზიოროვა (თბილისი) 0:1. ოთხი პარტია გადაიდო.

11 ტურის შემდეგ ლიდერობენ: კობაიძე — 9 ქულა, ხუგაშვილი, ჩაიკოვსკაია, წერეთელი, გაჩეჩილაძე — 7,5-7,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ც. კახაბრიშვილი (თბილისი) — 6,5 (2).

ლიდერებმა წაიფორხილეს: ჩაიკოვსკაია და ხუგაშვილი პირველად დამარცხდნენ. ჩაიკოვსკაიამ ლაზიერის გამბიტის კარგად ცნობილ სისტემაში უხეიროდ ითამაშა, ურჩქოდ დარჩა და სუსტი პაიკიც მიიღო. თბილისის ჩემპიონმა ბაშინურიძემ თამაში ენდშპილში გადაიყვანა, სადაც ჩაიკოვსკაიას პოზიციის ხარვეზები უფრო ნათლად გამოჩნდა. ორი პაიკის დაკარგვის შემდეგ ოსტატი დანებდა.

ხუგაშვილ — გეგიძის დაძაბული ბრძოლა სიცილიური დაცვის დახურული ვარიანტით დაიწყო. გეგიძემ უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ პარტიის ბედი ენდშპილში გადაწყდა, სადაც ხუგაშვილმა მოულოდნელად ფიგურა დაკარგა. 49-ე სვლაზე იგი წაგებას შეურიგდა.

მწვავედ (ჰოლანდიური დაცვა) წარიმართა კობაიძე — გურიელის პარტია. მეტოქენი მხოლოდ 37-ე სვლაზე დაზავდნენ.

თ. ნინოშვილი.

ინგლისური რინგის კულისებში

იგი ლონდონში ცხოვრობს. ჰყავს ცოლი და ორი შვილი. კარგა ხანს ყველას ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ინგლისელი მოქალაქე ეგონა. მხოლოდ ამას წინათ ჟურნალ „სანდი ტაიმსში“ გამოქვეყნებული წერილის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ჯარვის ესტერე სპორტის ერთ-ერთი უდიდესი საქმოსანია ბრიტანეთის კუნძულებზე.

ახალგაზრდობაში იგი კაცის საცვლებით ვაჭრობდა, ფული დააგროვა და უფრო დიდ ბიზნესს მოჰკიდა ხელი. ესტერემ გაიჩინა მენეჯერთა მთელი შტატი და „იყიდა“ ქვეყნის საუკეთესო მოკრივეები. ათი წლის წინათ მან თვით ინგლისის პროფესიული კრივის „მეფე“ ჯეკ სოლომონიც კი დაამხო...

ქვეყნის ყველა ცნობილი მოკრივე ესტერეს „საკუთრება“ გახდა. თუ რომელიმე სპორტსმენი გაბედავს და ყოფილი საცვლებით მოვაჭრის სურვილს არ დაემორჩილება, მოსყიდული მსაჯები მას პირველივე შეხვედრაში წაგებას ჩაუთვლიან.

ბოლო წლებში ბრიტანეთის პროფესიულ მოკრივეთა ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა, აგრეთვე, ინგლისში გამართული საერთაშორისო შეჯიბრებები მსოფლიო პირველობის მატჩების ჩათვლით ესტერემ მოაწყო. ესტერეს კაუშირი აქვს დამყარებული ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ბიზნესმენებთან, რომლებიც მას მატჩების მოწყობაში ეხმარებიან (რა თქმა უნდა, არა უანგაროდ). ყოველივე ამის გარდა, ესტერე სატელევიზიო კომპანიის პატრონიცაა. როცა მისთვის ხელსაყრელია, ესტერეს შეუძლია აკრძალოს შეხვედრების ტელევიზიით გადაცემა და ამ გზით ბილეთების ფასი ერთიორად იზრდება.

— კრივი ინგლისში თანდათან კვდება, — გულისტკივილით აღნიშნა სპორტიდან წასვლის წინ ერთ-ერთმა ცნობილმა მოკრივემ, წარსულში სახელგანთქმულმა მოკრივემ ჯიმ ბე